თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №9

თბილისი, 6 ოქტომბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 6 ოქტომბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 15:05 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლონდა ბიჭიკაშვილი;

- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – თეკლე ზედელაშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ – ბექა შეწირული;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:05 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.
2. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
3. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდგომ ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, უწყებათაშორისი კომისია მანდატის ფარგლებში საქმიანობას გააგრძელებს ცესკო-ს მიერ შემაჯამებელი ოქმების გამოქვეყნებამდე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა უწყებათაშორისი კომისიის შუალედური ანგარიში ჩატარებული 8 სხდომის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის თაობაზე. ანგარიშის შესაბამისად, კომისიამ, საერთო ჯამში, განიხილა მედიამონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული 112 საკითხი, რომელთაგან 21 შეეხებოდა შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას (ამ ეტაპზე დადასტურდა 1), 9 – შესაძლო მოსყიდვას, 6 – შესაძლო ძალადობას, 29 – შესაძლო ზეწოლას/დაშინებას/დევნას/მუქარას, 19 – შესაძლო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებას, 28 – საარჩევნო კანონმდებლობის სხვაგვარ დარღვევას. ზემოაღნიშნულ საკითხთა ნაწილზე გამოძიებას აწარმოებს როგორც საქართველოს პროკურატურა, ისე შინაგან საქმეთა სამინისტრო და გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაციას შესაძლებლობისთანავე მოაწვდიან უწყებათაშორის კომისიას. ამასთან, საგულისხმოა, რომ, ჯამში, ორი წერილობითი განცხადება (არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“) იქნა წარმოდგენილი კომისიის ელექტრონული ფოსტით, რომლებზეც მანდატის ფარგლებში განხორციელდა რეაგირება და მიმდინარე მოკვლევა/გამოძიების ეტაპზე არსებულ საქმეებს კომისია კვლავ დაუბრუნდება. ცხელ ხაზზე შემოსულია მხოლოდ ერთი შეტყობინება (კერძო საკუთრებაში საარჩევნო უბნის გახსნის თაობაზე), რაც გადამოწმდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და დარღვევა არ დადასტურდა.

რვა სხდომის ფარგლებში კომისიას წარედგინა სამი მოხსენება, რომელთაგან ორი (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მოხსენებები) შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი საარჩევნო სიის სრულყოფას, ერთი (ცესკო-ს მოხსენება) კი – კანონმდებლობაში 2021 წელს შესულ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ცვლილებებს.

ამასთან, უწყებათაშორისი კომისია, ტრადიციულად, შეუერთდა მემორანდუმს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელს აწერს ცესკო და სადამკვირვებლო საქმიანობის განმახორციელებელი არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია.

ზემოდასახელებულის გარდა, კომისიამ გამოსცა ორი რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი მიმართული იყო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებისადმი და არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისადმი და ემსახურებოდა პოლიტიკური ხასიათის შეკრებების თავისუფალ და არაკონფლიქტურ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას, მეორე კი –

საგანმანათლებლო რესურსცენტრებისადმი და საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებისადმი, რომლის მიზანიც იყო სასწავლო პროცესის პოლიტიზების თავიდან აცილება. აღსანიშნავია, რომ უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საქმიანობის მიმოხილვის შემდგომ ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა კენჭისყრის დღეს არსებული ვითარების ამსახველი ინფორმაციის მოწოდების მიზნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი ოსაძეს.

როგორც ბატონმა გიორგიმ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, 2021 წლის 2 ოქტომბერს მუნიციპალური არჩევნების მიმდინარეობისას შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 16 საქმეზე, რომელთაგან 13 შეეხებოდა ძალადობას (დაპირისპირება საარჩევნო უბანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე). თითოეულ საქმესთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება. დანარჩენი 3 ფაქტი შეეხებოდა ისეთ არაძალადობრივ საქმეებს, როგორიცაა, მაგალითად, კომისიის წევრისთვის მობილური ტელეფონის მოპარვა და კიბერშეტევა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვებგვერდზე. რაც შეეხება ადმინისტრაციულ დარღვევებსა და გადაცდომებს, საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად დაწესებული შეზღუდვების უზრუნველსაყოფად და აღსრულების მიზნით პოლიცია მთელი დღის განმავლობაში აკონტროლებდა უბნებს და მიმდებარე ტერიტორიებს. აღსანიშნავია, რომ მომართვისა და მედიაში გავრცელებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, პოლიციის მიერ არაერთი (დაახლოებით, ორასზე მეტი) ადმინისტრაციული რეაგირება განხორციელდა. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი იყვნენ საკონტაქტო პირები და სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყოველ შეტყობინებას მოჰყვა შესაბამისი რეაგირება, ხოლო ის შეტყობინებები, რაც სხვა უწყებების მხრიდან მოითხოვდა რეაგირებას, შესაბამისად, გადამისამართდა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კუთხით ამ ეტაპისთვის იდენტიფიცირებულ ორასზე მეტი შემთხვევიდან უმეტესი ნაწილი მიეკუთვნებოდა საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მანძილზე შეკრების აკრძალვის წესის დარღვევას. ზოგიერთი შემთხვევა დაკავშირებული იყო საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვის წესის დარღვევასთან, შემთხვევათა ნაწილი კი, შეეხებოდა სხვადასხვაგვარ დარღვევას, რომელთა დიდი ნაწილი, ძირითადად, ცესკო-ს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა.

უნდა ითქვას, რომ სამართალდარღვევების შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების დარღვევის დროს პოლიციის მხრიდან პირველ ეტაპზე დამრღვევს ეძლეოდა გაფრთხილება და ამის თაობაზე დგებოდა შესაბამისი რეაგირების ოქმი. ხაზგასასმელია, რომ გაფრთხილების ამ მექანიზმმა კარგად იმუშავა, რადგან ამ კუთხით სამართალდარღვევები, ფაქტობრივად, აღარ განმეორებულა. ამგვარად, პოლიციის მაღალმა მობილიზებამ განაპირობა ძირითად შემთხვევებში საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცესის მშვიდ გარემოში მიმდინარეობა. ბატონი გიორგის თქმით, პოლიციამ მხოლოდ ერთ შემთხვევაში (კახეთში) დააჯარიმა მოქალაქე 2000 ლარით საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მანძილზე შეკრების აკრძალვის წესის დარღვევის გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემომითითებულ სისხლის სამართლის 16 საქმეს დეტალურად აღარ შეეხებოდა, რადგან უწყებამ საზოგადოების ინფორმირების მიზნით ბრიფინგი მოაწყო და სამინისტროს მხრიდან ინფორმაცია უწყებათაშორისი კომისიის ელექტრონულ ფოსტაზეც გამოიგზავნა.

ბატონი გიორგის მოხსენების დასრულების შემდგომ ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა ცესკო-ს წარმომადგენელსაც სთხოვა კომისიისთვის ინფორმაციის მოწოდება 2 ოქტომბრის არჩევნებზე კენჭისყრის პროცესის წარმართვის თაობაზე.

ბატონი გიორგი სანტურიანის განცხადებით, კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით, მთლიანობაში, საარჩევნო პროცესი წარიმართა საკმაოდ კარგად, რამაც მაღალი შეფასებები დაიმსახურა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

სტატისტიკასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ, საერთო ჯამში, საარჩევნო ადმინისტრაციაში 6 ოქტომბრის ჩათვლით წარმოდგენილი იყო 1633 საჩივარი, რომლებიც შეეხებოდა როგორც კენჭისყრის დღეს, ისე კენჭისყრის დღის შემდგომ პერიოდს. ამასთან, ხუთასამდე საჩივარი შეეხებოდა კენჭისყრის დღის პროცედურებს, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული საჩივრების უმეტესობა უკავშირდება პროცედურულ დარღვევებს და არა რაიმე მნიშვნელოვან გადაცდომას. კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდის საჩივრებში მოთხოვნები, ძირითადად, დაფიქსირებულია როგორც გადათვლებთან, ისე შემაჯამებელი ოქმების გაუქმებასთან დაკავშირებით.

რამდენადაც 5 ოქტომბერს დასრულდა საჩივრების წარმოდგენა, ამ ეტაპისთვის საარჩევნო ადმინისტრაციაში (საოლქო საარჩევნო კომისიებში) მიმდინარეობს საჩივრების განხილვა, რაც 4-დღიან ვადაში უნდა დასრულდეს.

დამატებით, ბატონი გიორგის თქმით, რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირების კუთხით არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება მეორე ტურს, წინასწარი მონაცემებით, მერებთან მიმართებით გაიმართება 20 მუნიციპალიტეტში, ასევე, 43 ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში.

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, დაიწყო თუ არა უბნების გარკვეული ნაწილის სავალდებულო წესით გადათვლა, რამდენადაც საკითხი გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით.

ბატონი გიორგის საპასუხო განცხადებით, კანონით გათვალისწინებული ორივე საფუძვლიდან (5 უბნის შემთხვევითი პრინციპით შერჩევა; უბნები, სადაც ფიქსირდება გადასწორებები) გამომდინარე, უკვე გაიმართა გადათვლის პროცესი და რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა/ცდომილება არ დაფიქსირებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცესკო-ს წარმომადგენლების მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე განხორციელებული რეაგირებების საკითხზე.

პირველ ინფორმაციასთან დაკავშირებით (დიღომში 52-ე საარჩევნო უბანზე მომხდარი დაპირისპირება და ხმაური რამდენიმე დღით ადრე მარკირების სითხისა და სააგიტაციო მასალის მიტანის გამო) ბატონმა გიორგი სანტურიანმა აღნიშნა, რომ მარკირების სითხის კუთხით არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან კანონით არ არის განსაზღვრული საარჩევნო უბნისთვის ინვენტარის გადაცემის კონკრეტული დღე და ვადებში ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. რაც შეეხება სააგიტაციო მასალას, უბანზე აღმოჩენილი სააგიტაციო მასალის წარმომავლობა გაურკვეველია და უცნობია, როგორ მოხვდა იქ.

ამავე საკითხზე შინაგან სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მითითებულ უბანზე ხმის მიცემის პროცედურა მთელი დღის განმავლობაში მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ადგილზე მისულმა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წევრმა ზვიად კუპრავამ კომისიის თავმჯდომარეს მოსთხოვა ხმების დათვლის პროცესზე დასწრება თანმხლებ პირებთან ერთად. კომისიის თავმჯდომარის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ კუპრავა ჟურნალისტების თანხლებით შევიდა საარჩევნო უბანზე, რა დროსაც დაადანაშაულა კომისიის თავმჯდომარე გვერდითა ოთახიდან დამატებითი ბიულეტენების გამოტანაში. სწორედ ამან განაპირობა მედიით გავრცელებული კონფლიქტური სიტუაცია, თუმცა, კონკრეტული ფიზიკური ძალადობის ფაქტის თაობაზე სამინისტროს ინფორმაცია არ აქვს. ადგილზე სიტყვიერი დაპირისპირების შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა უბანზე პოლიციის შესვლა. სამართალდამცველებმა კუპრავას მოუწოდეს, დაეტოვებინა საარჩევნო უბანი, მაგრამ პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო იგი ძალის გამოყენებით გაიყვანეს უბნიდან; შემდგომ კი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად, წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე ზვიად კუპრავა დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით. რაც შეეხება სიუჟეტში გასულ ინფორმაციას, სადაც ჟურნალისტი საუბრობს პოლიციელების მხრიდან ფიზიკური ძალადობის შესახებ, უწყებაში კონკრეტული ფაქტები არ ყოფილა წარმოდგენილი. გადაღებულ ვიდეომასალაში პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტი არ ფიქსირდება, არც შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს რაიმე ინფორმაციას 52-ე უბანზე პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობის თაობაზე.

ორხევში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბზე განთავსებული ნიკა მელიას ბანერის დაზიანების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უწყებამ შეტყობინების მიღებისთანავე (27 სექტემბერს) დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლით ნივთის (ბანერის) დაზიანების ფაქტზე.

როგორც ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, შეტყობინების ინიციატორმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორხევის ოფისის მენეჯერმა, გამოკითხვისას დააფიქსირა, რომ 27 სექტემბერს შენიშნა ოფისის კედელზე ორი ბანერის დაზიანება. მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა, კონკრეტული პირი იდენტიფიცირებული არ არის. დანიშნულია საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა და თუ აღმოჩნდება, რომ მიყენებული ზიანი აღემატება 150 ლარს და დადგინდება ბანერზე განთავსებული ფოტოს ჩამომხევი პიროვნება, მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

ოზურგეთის საკითხზე (მალაზონიას ქუჩაზე საქანელების მიტანა და ამ მხრივ მმართველი პარტიის მხრიდან შესაძლო მოსყიდვა) ისაუბრა გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლონდა ბიჭიკაშვილმა. მისი თქმით, ფაქტთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ მიმდინარეობს საკითხის შესწავლა და კომისიის შემდგომი სხდომისთვის უკვე შესაძლებელი იქნება კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება.

ოზურგეთთან დაკავშირებულ მეორე ინფორმაციასთან („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატ ავთანდილ თალაკვაძის მიერ სოფელ მთისპირში ხმების სანაცვლოდ ადგილობრივ მეჩეთთან მისასვლელი გზის დაგება და ამ მხრივ ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვა) მიმართებით ქალბატონმა ლონდა ბიჭიკაშვილმა განაცხადა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო ამ საკითხსაც იკვლევს. გამოკითხვების შედეგად ამ ეტაპზე ირკვევა, რომ სოფლის მოსახლეობამ თავად უზრუნველყო საჭირო თანხების მობილიზება და სწორედ ამ სახსრებით დაიგო მეჩეთთან მისასვლელი გზა. პროკურატურის მხრიდან საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია და შესაბამისი შედეგი (გამოძიების დაწყება/არდაწყება) გამოვლენილი გარემოებების მიხედვით დადგება.

სამეგრელოსა და შიდა ქართლში პროდუქტების დარიგებასა და ამგვარად შესაძლო მოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხზე პროკურატურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სიუჟეტში დაფიქსირებული მოქალაქეების იდენტიფიცირების შემდგომ გამოიკითხებიან ისინი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, რის შემდეგაც დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში გადაწყდება გამოძიების დაწყების საკითხი.

ჩუღურეთის 22-ე საარჩევნო უბანზე ხმების გასაყალბებლად „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მზადების შესახებ (გადასატანი ყუთის სიის კანონდარღვევით წარდგენა) ინფორმაციაზე ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გადამოწმდა ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიასთან. როგორც ირკვევა, 22-ე საუბნო საარჩევნო კომისიაში გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში პირთა შესაყვანად წარმოდგენილი იყო სატელეფონო განცხადებები (ფიზიკური განცხადებები საერთოდ არ წარმოდგენილა). შესაბამისი განაცხადი შესული იყო 26 ამომრჩეველთან მიმართებით (სხვა პირის მიერ განაცხადები ფიზიკურად არ წარმოდგენილა). განაცხადების გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ რეალურად ოცდაექვსივე ამომრჩეველთან მიმართებით არსებობდა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში მათი მოხვედრის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ინფორმაციის სიზუსტე რეალურად არ დასტურდება.

თელავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ბანერების დაზიანებასთან დაკავშირებით ისაუბრა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა. ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 24 სექტემბერს შევიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება მათი პარტიის მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სააგიტაციო მასალებისა და პლაკატების დაზიანებასთან დაკავშირებით, თუმცა, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ამ

დრომდე ვერ მოხერხდა სამართალდამრღვევების იდენტიფიცირება, სამართალდარღვევის ფაქტზე კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება და სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა. ამასთან, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ განცხადების შესვლის შემდეგ თელავის მერიიდან ეთხოვა, რომ ხსენებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში წარედგინათ ფაქტები, რაც შესაძლებელს გახდიდა სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებას. დღემდე თელავის მერიისთვის მათგან რაიმენაირი ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობებშიც კი, მერიის ზედამხედველობის სამსახური დამატებით აგრძელებს მუშაობას სააგიტაციო მასალების დაზიანების ფაქტზე და სამართალდამრღვევის გამოვლენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მზადაა რეაგირებისთვის.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ისაუბრა მედიამონიტორინგით მოპოვებულ შემდგომ ინფორმაციაზეც („ლელოს“ ბათუმის საკრებულოს წევრობის კანდიდატის და სიის პირველი ნომრის, ირაკლი კუპრაძის, საარჩევნო პლაკატებზე მმართველი პარტიის ბათუმის მერობის კანდიდატ არჩილ ჩიქოვანის პლაკატების გადაკვრა). მუნიციპალიტეტიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სიტყვით გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ფაქტის თაობაზე მუნიციპალიტეტისთვის არავის მიუმართავს. აღსანიშნავია, რომ ზედამხედველობის სამსახურსაც არ დაუფიქსირებია მსგავსი შემთხვევა. ამასთან, გაურკვეველია, თუ რა მისამართზეა განთავსებული ინფორმაციაში აღნიშნული პლაკატები, თუმცა, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური დამატებით აგრძელებს მუშაობას და ქალაქის ტერიტორიის შესაბამის დათვალიერებას. ამ ეტაპზე სამართალდამრღვევი პირი არ გამოვლენილა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მიერ კარდაკარის პრინციპით საჯარო მოხელეებთან შეხვედრებსა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ბატონი გიორგი ოსაძის განმარტებით, ინფორმაციის იმ ნაწილში, თითქოს პოლიციის თანამშრომლები ჩართულნი არიან წინასაარჩევნო პროცესში და კარდაკარის პრინციპით დადიან, რაიმე კონკრეტული მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი და მსჯელობა ატარებდა ზოგად ხასიათს. ამ ეტაპზე უწყება მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, მაგრამ რაიმე გადაცდომის გამოკვეთის შემთხვევაში უწყების შესაბამისი დანაყოფი, რომელსაც ევალება თანამშრომელთა გადაცდომების კონტროლი, დაიწყებს სამსახურებრივ შემოწმებას.

მედიამონიტორინგით გამოვლენილ მომდევნო საკითხზე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაცია ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევაში მმართველ პარტიას ადანაშაულებს. ანა წითლიძის (პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“) განცხადებით, „ეს არის ქართული ოცნების სქემა“ და ბრიფინგზე დაასახელა ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველთათვის პირადობის მოწმობების ჩამომრთმევი პირები) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 30 სექტემბერს დაიწყო გამოძიება სსკ 363-ე მუხლით (დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება). მოწმის სახით გამოკითხულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ მას დაუკავშირდა მისთვის უცნობი პირი და შესთავაზა მისი მსჯავრდებული შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ სხვა პირთა პირადობის მოწმობების შეგროვება და მასთან მიტანა.

ბატონი გიორგი ოსაძის თქმით, გამოძიების მიმდინარეობისას დადგინდა, რომ ზემოდასახელებული ქალბატონისთვის პირთა პირადობის მოწმობების გადაცემა მოქალაქეთა მხრიდან მოხდა ნებაყოფლობით და არა იძულებით. ისინი აქვე აცხადებენ, რომ არ არიან ოპოზიციის მხარდამჭერები, უბრალოდ, სურდათ, დახმარებოდნენ ამ ქალბატონს შვილის ციხიდან გათავისუფლებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

შემდეგ საკითხთან („ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ მათი საჩივრის საფუძველზე მმართველი პარტიის მერობის კანდიდატი გიორგი წიკლაური და №26 საარჩევნო ოლქის №23 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე 2000-2000 ლარით დააჯარიმა. სასამართლომ, ასევე, სამართალდამრღვევად ცნო ამავე საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრი და მათ მიმართ ადმინისტრაციულ სახდელად გაფრთხილება გამოიყენა. საქმე საჯარო სკოლის მასწავლებლების და სკოლის ჩართულობით აგიტაციას ეხებოდა. პირველ სექტემბერს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარში მერობის კანდიდატმა გიორგი წიკლაურმა საჯარო სკოლის დირექტორსა და ამავე სკოლის მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც, ასევე, არიან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საუბნო კომისიის წევრები, განახორციელა სოფელ ქოსალარის ამომრჩეველთან წინასაარჩევნო აგიტაცია, რაც აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 45-ე და 48-ე მუხლების შესაბამისად) დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა, განაცხადა, რომ ინფორმაციაში მოხსენიებული პირები საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლები არიან (სკოლის დირექტორი და პედაგოგი), ამასთან, არჩეულ იქნენ საარჩევნო კომისიის წევრებად. ქალბატონი თამარის თქმით, საკითხის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმ პერიოდისთვის (პირველი სექტემბერი) ზემოაღნიშნული პირები იმყოფებოდნენ კუთვნილ უხელფასო შვებულებაში, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით მათი შვებულების დაკმაყოფილების შესახებ. შესაბამისად, ისინი მითითებულ პერიოდში არ ასრულებდნენ დირექტორისა და პედაგოგის უფლებამოსილებებს და არც კომისიის წევრობის საქმიანობას, რადგან საარჩევნო კომისია ფუნქციონირებას შეუდგა მიმდინარე წლის 2 სექტემბრიდან.

მედიაში გავრცელებულ შემდეგ საკითხზე (მმართველმა პარტიამ ბაქოდან არჩევნებისთვის მაშველად გამოიძახა მისი მინი-ოლიგარქი თემურ ალიევი, იგივე ბაჰატინა. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ შიდა ქართლის სოფლებში თემურ ალიევი მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმებს აგროვებს. სოფელ ფერმაში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა და დაშინება უკვე დაწყებულია. იგივე ხდება სხვაგანაც; ოპოზიციის მხარდამჭერებს კი, პირადობის მოწმობები ჩამოართვეს) გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი უწყების მხრიდან ხდება სიუჟეტში ნაჩვენები პირების იდენტიფიცირება შემდგომში მათი გამოკითხვაზე დაბარების მიზნით. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე დანაშაულის (ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვა) ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების თაობაზე. ქალბატონი ლონდა ბიჭიკაშვილის თქმით, ამ ეტაპზე სხვა დამატებითი დეტალები არ იკვეთება.

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ, ქალბატონმა სალომე ბახსოლიანმა, ამავე საკითხზე განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებულია მსგავსი ტიპის არაერთი ინფორმაცია პირადობის მოწმობების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ოპოზიციურად განწყობილი პირებისთვის არჩევნებში მონაწილეობისთვის შესაძლო ხელის შეშლის მიზნით. მისივე განმარტებით, საკითხი ეხება პერსონალურ მონაცემებს, თუმცა, შეიცავს შესაძლო დანაშაულის ნიშნებს და ამ კონკრეტულ შემთხვევებში რეაგირება სცდება მისი უწყების კომპეტენციას.

მედიამონიტორინგით გამოვლენილ მომდევნო საკითხთან (ზაურ დარგალის (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი) ინფორმაციით, მარნეულის სოფელ სადახლოში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ როვშან ისკანდაროვს სცემეს. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" დაიწყო მორიგი პროვოკაციები. მათი პარტიიდან სიის მეორე ნომერმა ლაშა ქველაძემ სოფელ სადახლოში სხეულის დაზიანება მიაყენა მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, რომელმაც კანონის ფარგლებში მოუწოდა მას, საღებავებით არ გაეკეთებინა სკოლის კედელზე წარწერა – „მიშა ჩამოდი, ხმა მიეცით „ნაციონალურ მოძრაობას". მოწოდების შემდეგ მომხდარი დაპირისპირების შედეგად გულმკერდისა და სახის არეში დაზიანებები მიადგა მმართველი პარტიის კანდიდატს, რომელიც კლინიკაში გადაიყვანეს) დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 30 სექტემბერს დაიწყო გამოძიება რ.ი-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 30 სექტემბერს ლ.ქ-ს თანმხლებ პირებთან ერთად სოფლის შენობებზე საღებავებით წარწერების გაკეთებისას რ.ი-მ მისცა შენიშვნა, არ დაემახინჯებინათ შენობების იერსახე. დაპირისპირება შემდგომ ძალადობაში გადაიზარდა. საქმეზე დაკავებულ ლ.ქ-ს წარედგინა ბრალი სსკ 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება). როგორც ბატონმა გიორგი ოსაძემ აღნიშნა, გამოძიების საფუძველზე დადგინდა, რომ ფიზიკური დაპირისპირება პოლიტიკური მოტივით მოხდა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ წინა სხდომაზე გამოსცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პოლიტიკური მოტივით დაპირისპირების საფუძველზე ინციდენტების პრევენციას, სადაც აქცენტი საჯარო მოხელეებზე იყო გაკეთებული, თუმცა, ეხებოდა პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებსაც.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (ზუგდიდში ქალბატონი მაყვალა ანთია „მთავარ არხთან" განმარტავს, რომ მას პატიმარი შვილი ჰყავს და რამდენიმე დღის წინ მისთვის უცნობი პირი ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებისთვის პირადობის მოწმობის ჩამორთმევის სანაცვლოდ დახმარებას დაჰპირდა) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ინფორმაცია ანა წითლიძის მიერ გავრცელებული ინფორმაციის იდენტურია, რომელზეც უკვე ისაუბრა ზემოთ.

მედიაში გავრცელებული შემდეგი საკითხის (ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საარჩევნო წევრების მიმართ ზეწოლის ფაქტებზე საუბრობენ. პრესსპიკერის განცხადებით, კომისიის წევრებს შეტყობინებებს უგზავნიან, სადაც მათ თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ერთ-ერთი შეტყობინების ავტორი „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ წევრი ზვიად კუპრავაა) სისწორე დაადასტურა ცესკო-ს წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ მსგავს ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ამავე საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზემოთ უკვე ისაუბრა 52-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც დაკავებულ იქნა ზ.კ. (ადმინისტრაციული გადაცდომისთვის) წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე. ბატონი გიორგი ოსაძის თქმით, ეს არის ის ინფორმაცია, რასაც ის ზ.კ-თან დაკავშირებით ფლობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ზუგდიდში, სოფელ ნარაზენში, ირაკლი თოდუასა და ზაალ ზარანდიას ფიზიკური დაპირისპირების თაობაზე პირველ ოქტომბერს დაწყებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ი.თ-მ დაპირისპირების ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზ.ზ-ს. შემთხვევის 3 თვითმხილველი ძალადობის ფაქტს არ ადასტურებს და ამბობს, რომ ამ პირებს ერთმანეთში კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. როგორც ბატონმა გიორგი ოსაძემ აღნიშნა, ამ ეტაპზე სხვა დეტალები არ იკვეთება და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ამავე საკითხზე პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე საკმარისი მტკიცებულებები არ არის მოპოვებული, რაც გახდიდა კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამმართლებრივი დევნის დაწყების ან/და პირიქით – გამოძიების შეწყვეტის საფუძველს.

თბილისში კენჭისყრის დღეს ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი კახა კუჭავას, პარტიული სიმბოლიკით მისვლასთან (მედიაში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მიერ პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევად შეფასდა) დაკავშირებით ბატონმა გიორგი სანტურიანმა განმარტა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში არაერთი საარჩევნო სუბიექტისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ იქნა საჩივარი წარმოდგენილი. ამასთან, საკითხი მოკვლევის სტადიაზეა. ცესკო-ს მიერ საჩივრებთან ერთად ბატონ კახა კუჭავას გაეგზავნა წერილი მისი პოზიციის წარმოდგენის თაობაზე, რის შემდგომ ცესკო-ს თავმჯდომარე 10 დღის ვადაში მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამავე ინფორმაციაში გახმიანებულ საკითხზე (თამარ კორძაიამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ გლდანში მასობრივად ხდება 100-მეტრიანი რადიუსის დარღვევა, მხარდამჭერების მობილიზება მმართველი პარტიის მიერ) ბატონმა გიორგი ოსაძემ განმარტა, რომ მედიაში გავრცელებულ მსგავს ფაქტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოჰყვა შესაბამისი რეაგირება. საპატრულო პოლიციის დანაყოფები აკონტროლებდნენ სარჩევნო უბნებს და საარჩევნო მიზნით აშკარად გამოკვეთილი შეკრებების შემთხვევაში პირებს ეძლეოდათ გაფრთხილება, როგორც მან უკვე ისაუბრა სხდომის დასაწყისში.

მომდევნო საკითხთან დაკავშირებით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ხატია დეკანოიძის ინფორმაციით, ქუთაისის 124-ე საარჩევნო უბანზე დაფიქსირებულ კობა გაბუნიას (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე) აქტიურობა შეინიშნება, ასევე, შემჩნეულია ფულის დარიგებაში) ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ ემყარება არანაირ მტკიცებულებას და სიმართლეს არ შეესაბამება.

ქუთაისში მე-10 საარჩევნო უბანზე ამომრჩევლების შესაძლო იძულებაზე ბიულეტენებზე ფოტოს გადაღებასა და 124-ე საარჩევნო უბანზე კომისიის წევრების მიერ შემაჯამებელ ოქმებზე წინასწარ შევსებისა და ხელის მოწერის ფაქტებთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ ქუთაისის 124-ე საარჩევნო უბანზე მართლაც იყო მსგავი შემთხვევა. მისი განმარტებით, კომისიის წევრებმა შეცდომა დაუშვეს და ხელი მოაწერეს წინასწარ ოქმებს, ამასთან, უბანზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობაც არასწორად გადაიტანეს მონაცემებში. საუბნო საარჩევნო კომისიას შესაბამისი რეაგირება ჰქონდა აღნიშნულ საკითხზე და საბოლოოდ კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდგომ კანონმდებლობის სრული დაცვით შედგა შემაჯამებელი ოქმი. ბატონი გიორგის თქმით, საკითხზე შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილია საჩივარიც, ხოლო მე-10 საარჩევნო უბანზე ბიულეტენებზე ფოტოების გადაღების ფაქტი მოკვლევის შედეგად არ დადასტურდა.

მედიმონიტორინგის მომდევნო საკითხზე (სადამკვირვებლო ორგანიზაცია „სამოქალაქო საარჩევნო კომისიის" ინფორმაციით, წყალტუბოს ოლქის 66-ე უბანზე სოფლის რწმუნებული დამკვირვებლის სტატუსით იმყოფება. ორგანიზაციის განცხადებით, სავარაუდოდ, დარღვეულია საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხის მოკვლევის შედეგად საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა არ დასტურდება, ვინაიდან კანონმდებლობა განმარტავს, თუ ვინ შეიძლება იყოს საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელი. შესაბამისად, ინფორმაციაში ხსენებულ პირს ეს შეზღუდვა არ ეხება.

მარნეულში „ლეიბორისტული პარტიისა" და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენლებს შორის სისხლიანი დაპირისპირების საკითხზე ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ გამოძიება დაწყებულია სსკ 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). გამოძიებით დადგინდა, რომ სოფელ დაშტაფას ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მიმდებარედ გ.რ-სა და ე.მ-ს ერთმანეთში შელაპარაკების შემდგომ გ.რ-მ ე.მ-ს მიაყენა დანით დაზიანება. მოწმეთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ დაპირისპირებას წინ უსწრებდა დაზარალებულის საარჩევნო უბანზე ალკოჰოლური თრობის ქვეშ გადაადგილება, რაზეც მან შენიშვნა მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, დაკავებულ გ.რ-ს წარდგენილი აქვს ბრალი სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით. ბატონი გიორგის ხელთ არსებული ინფორმაციით, დასახელებულ პირს სასამართლოს მიერ შეეფარდა პატიმრობა.

მარნეულში, სოფელ ყიზილაჯლოს 83-ე საარჩევნო უბანზე მმართველი პარტიის წევრების მიერ „გირჩის" წევრ ირაკლი ქველიძის ცემასთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი ოსაძემ აღნიშნა, რომ გამოძიება დაწყებულია სსკ 162[1] მუხლის პირველი ნაწილით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა). გამოძიებამ დაადგინა ზემოხსენებულ საარჩევნო უბანზე რეგისტრატორ ზ.ხ-ს მიერ „გირჩის" წევრ ი.ქ-თვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები და ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

მომდევნო საკითხზე (ბათუმის №6 საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" საარჩევნო ბანერი ხვდება. დარღვეულია საარჩევნო კოდექსში

არსებული ჩანაწერი 25-მეტრიან დისტანციასთან დაკავშირებით) ბატონმა გიორგი სანტურიანმა აღნიშნა, რომ მოკვლევის შედეგად არ დადასტურდა საარჩევნო უბანზე მითითებული ბანერის განთავსების ფაქტი. ამასთან, არც საარჩევნო ადმინისტრაციაშია შესული მსგავსი სახის საჩივარი. მისივე განმარტებით, საარჩევნო უბანზე მსგავსი ბანერის განთავსების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, კანონმდებლობის თანახმად, მოხდება მისი ჩამოხსნა/დემონტაჟი. ფულადი სანქცია გათვალისწინებული არ არის.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" აქტივისტები ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან სატელეფონო ზარებით ამოწმებენ, იყვნენ თუ არა არჩევნებზე და მოუწოდებენ, დროულად წავიდნენ საარჩევნო უბანზე და ხმა მისცენ მმართველ პარტიას. აქვე საუბარია ზარების განმახორციელებელი კონკრეტული პიროვნებების ტელეფონის ნომრებზე) სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ, ქალბატონმა სალომე ბახსოლიანმა, განაცხადა, რომ მისმა უწყებამ დაიწყო საკითხის შესწავლა იმ პირების იდენტიფიცირების მიზნით, ვისი ტელფონიდანაც ხდებოდა დაკავშირება. ამასთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი არ ესწრებოდა კომისიის სხდომას და ვერ მოხერხდა კომისიისთვის ინფორმაციის მოწოდება ზემოხსენებულ ინფორმაციაზე.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია") კითხვით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს – 52-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ზ.კ. დაკავებული იყო ადმინისტრაციული გადაცდომისთვის, თუ სისხლის სამართლის დანაშაულის კუთხით. ბატონი გიორგი ოსაძის საპასუხო განმარტების თანახმად, ამ საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით დასახელებული პირი დააკავეს ადმინისტრაციული გადაცდომის კუთხით და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით ბატონ გრიგოლს შეუძლია, მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის და კვლავ აღნიშნა, რომ, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე კომისია გაარძელებს ერთკვირიანი რეჟიმით მუშაობას.

სხდომა დასრულდა 16:25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: